ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:**ო65. 6523313001**
თარიღი:**09/11/2023**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 13

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 08.11. 2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **- გიორგი ივანიაძე.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გრიგოლ მატარაძე, ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი**- ტარიელ ბარამიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -

ლუიზა ჯოგლიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის

მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **- ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი **- მამუკა ნამიჭეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 14 00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: ***გელა ჩიკვაიძე***

2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N27 32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ***მამუკა ნამიჭეიშვილი***

3. ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ” ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10/03/2023 წლის Nგ-65.65230692 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს:***მამუკა ნამიჭეიშვილი***

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წერიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2023 წლის 1 ნოემბრის N65-652330 53 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ოქტომბრის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

განკარგულება N გ-65.6523312001

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N27 32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებიზე უნდა მომზადდეს სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმის შესადგენად ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა და მოწონება ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ და შემდგომ წარედგინება საკონსულტაციო საბჭოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმაში დამატებისთვის მომზადდა გზების და მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციის პროექტი და გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N27 32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

განკარგულება N გ-65.65233122

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი “ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული

პროექტების დამტკიცების შესახებ” ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10/03/2023 წლის №g-65.65230692 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით საპრასიის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. რომანეთში შერჩეული პროექტი „წყალსადენის რეაბილიტაცია-12000“ ლარი ვერ განხორციელდა. აღნიშნული თნხიდან 180 ლარი გახარჯულია ხარჯთაღრიცხვის მომზადებაში და 180 ლარი რჩება ძირითად ცხრილში. სოფლების საპრასიის და რომანეთის მოსახლეობის ჩართულობით შერჩეულია ახალი პროექტი, მათი საერთო სარგებლობის „ხიდის რეაბილიტაცია“ ღირებულებით 11820 ლარი. ხოლო სოფ. ზეინდარში გარე განათების პროექტს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატა 11 000 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი “ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ” ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10/03/2023 წლის №g-65.65230692 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

განკარგულება №g-65.65233123

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი